ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1041607

ნომერი: AR1173960

თარიღი : 30.10.2013

გაცემის თარიღი : 13.12.2013

გაცნობის თარიღი : 16.12.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დელისის , მე-3 ქუჩა N7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აივენგო დემეტრაძე პ/ნ 01009008462
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 52 ბ. 25

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 30 ოქტომბერს #AR1173960 განცხადებით მომართა მოქალაქე აივენგო დემეტრაძემ და მოითხოვა სამსახურის 2013 წლის 13 მარტის #586627 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2013 წლის 05 ნოემბრის №981211 და 2013 წლის 09 დეკემბერის # 1021358

ბრძანებებით განცხადებაზე დაგიდგინდათ ხარვეზი და განესაზღვრათ დამატებითი ვადა გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩენებლებისა და დასაბუთებული განმარტებითი ბარათის წარმოსადგენად. განმეორებით წარმოდგენილ განმარტებით ბარათში კვლავ გამოვლინდა ხარვეზი, კერძოდ: ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები (როგორც სართულების შესაბამისად, ისე ჯამურადაც) დამრგვალებულია მეათედის სიზუსტით (გარკვეულ შემთხვევაში შეცდომითაც), ხოლო გეგმა–ნახაზებზე ფართები მითითებულია მეასედი სიზუსტით. შესაბამისად, ვინაიდან, აღნიშნული იწვევს ცდომილებას დაჯამებაში, საჭიროა მაჩვენებლები წარმოდგენილი იქნას გეგმებზე მითითებული ფართების შესაბამისად. ასევე, განმარტებითი ბარათში არ არის თუ რამ გამოიწვია ცდომილება. სამსახურის 2013 წლის 09 დეკემბერის # 1021358 ბრძანებას თქვენ გაეცანით 2013 წლის 09 დეკემბერს, ხოლო ხარვეზის გამოსასწორებლად განსაზღვრული 5 სამუშაო დღიანი ვადიდან დარჩენილია 4 სამუშაო დღე. შესაბამისად, დარჩენილი 4 სამუშაო დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინოთ განმარტებითი ბარათი, სადაც მითითებული იქნება გასწორებული ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები (შეთანხმებული გეგმა–ნახაზების შესაბამისად) და დასაბუთებული განმარტებითი ბარათი ცდომილების გამომწვევი მიზეზის მითითებით. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში სამსახურის 2013 წლის 13 აგვისტოს #844532 ბრძანების საფუძველზე თქვენი 2013 წლის 07 აგვისტოს #AR1152942 განცხადება დარჩება განუხილველი.